ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

ანა ბალაძე

ანტიტრეფიკინგული პოლიტიკა საქართველოში: ემიგრანტი ქალების გამოცდილების ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2024

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი იკვლევს ტრეფიკინგის პოლიტიკას საქართველოში. ერთი მხრივ ეს მოხდა საქართველოს პოლიტიკური პროგრამის არსებობის და ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის საფუძველზე. კვლევის დროს გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები , კერძოდ ექსპერტული და სიღრმისეული ინტერვიუები, მოცემული საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურისა და დოკუმენტების მეორეული ანალიზის მეთოდები. ტრეფიკინგის პრობლემა გლობალურია, აქტუალობას არც საქართველოში კარგავს. ძირითადად ქართველი ტრეფიკინგის მსხერპლები ემიგრანტი ქალები არიან, რომლებიც მოტყუებით ან/და არალეგარულად გადადიან საზღვარზე სამუშაოდ. ნაშრომში აღწერილია მეთოდები რითაც , საქართველო ებრძვის ტრეფიკინგს, გარდა საქართველოსა საუბარი მაქვს აშშ-სა და შვედეთის მაგალითებზე. ასევე , ვახსენე მიგრაციაც და მასთან დავაკვიშერით წარმოდგენილია ნაშრომში სტატისკინა. ტრეფიკინგის ცნება ქართულ ლიტერატურაში, სამწუხაროდ მეტ-ნაკლებად პოპულარულია, იშვიათად თუ ვნახავთ სტატიებსა თუ წიგნებს(ნაშრომებს) ამ თემის ირგვლის. სწორედ ეს საბაკალვრო ნაშრომი არის მცდელობა , გარკვეული სიახლე შემატოს ტრეფიკინგის შესახებ აკადემიურ სფეროს და ცოდნით გაამდიდროს.

საკვანძო სიტყვები: ტრეფიკინგის პოლიტიკა , ემიგრანტი ქალები

სარჩევი

შესავალი 4
თავი I ტრეფიკინგი: პოლიტიკური და კულტურული საფუძველი 12
1.1ანტიტრეფიკინგული პოლიტიკა 12
1.2 კულტურული გავლენა 15
თავი II: ეკონომიკური კრიზისის გავლენა ტრეფიკინგზე 16
2.1 ეკონომიკური სტატისტიკის მიმოხილვა 16
2.3 მიგრანტების შეფასება ეკონომიკურ პოლიტიკაზე 20
თავი III საქართველოს მიგრაციული პოლიტიკა 20
3.1 მიგრაციის საფრთხე 20
3.2 შერეული მიგრაცია 23
თავი IV. ტრეფიკინგი საქართველოში: საფრთხეები და გამოწვევები 25
4.1 საქართველოს პოლიტიკა 25
4.2 ტრეფიკინგის გამოწვევები 27
4.3 ტრეფიკინგის სამიზნე ჯგუფი: ქალები 29
4.4 საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი 30
გამოყენებული ლიტერატურა: 34
დანართი 1 ნახევრად-სტრუქტურული ინტერვიუ ტრეფიკინგის დარგის ექსპერტთან 36
დანართი 2 ნახევრად-სტრუქტურული ინტერვიუ მიგრაციის დარგის ექსპერტთან 36

შესავალი

ადამიანებით ვაჭრობა სცილდება სახელმწიფო საზღვრებს და წარმოადგენს მთავარ გამოწვევას მსოფლიო საზოგადოებას და მოიცავს ექსპლუატაციის მრავალფეროვან ფორმას. ეს არის შიდა და საერთაშორისო კომპონენტებთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც წააგავს სხვა კრიმინალურ ქმედებებს, რაც მოითხოვს საგარეო პოლიტიკის ანალიზის სფეროს შესწავლას, როგორიცაა გლობალური ნარკოტიკებით ვაჭრობა. ცივი ომის დასრულების შემდეგ ადამიანთა ვაჭრობამ სწრაფი ზრდა განიცადა. მიზეზი კი შეზღუდული რესურსების გამოყოფა იყო. შემდგომ ტრეფიკინგის გავრცელებაზე გავლენა იქონია გლობალიზაციამაც , რომლის ერთ-ერთი შედეგი ეკონომიკური უთანასწორობის გაუარესება იყო. სწორედ ეკონომიკურმა პრობლემებმა გამოიწვია ტრეფიკინგის გავრცელება , სადაც საჭირო გახდა იაფი მუშახელი და ღარიბი ადამიანისთვის მინიმალური შემოსავალი. ხშირ შემთხვევაში ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდებოდა ემიგრანტები , რომლებიც სხვა ყვეყანაში სამუშაოდ მიდიოდნენ, რეალობა კი სხვა ხვდებოდათ. მიგრაციული პროცესები აქტიურად მიმდინარეობს მრავალ ქვეყანაში , გამონაკლისი არც საქართველოა.

ემიგრანთთა მთავარი მოტივი იმასა , რომ იყოს უცხო ქვეყანაში , ოჯახისგან შორს , არის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. უმეტეს წილად ემიგრანტებს შეადგენს ქალები. ვინაიდან უცხო ქვეყანაში ძირითადად უწევთ : მოხუცთა მოვლა, დალაგება , მიმტანობა და სხვა. მოკლედ , ისეთი საქმის კეთება რაც ქალებისთვის სირთულეს არ წარმოადგენს.როგორც წესი, ისინი ზოგავენ ფულს იმით, რომ ცხოვრობენ იმავე სახლში, სადაც მუშაობენ, ან რამდენიმე მიგრანტი ერთად ქირაობს ერთ ბინას.

ქვეყანაში ყოფნისა და მუშაობის უფლების არ ქონა, დასაქმება ძირითადად უკანონოა და, შესაბამისად, ევროპული სტანდარტებით, დაბალანაზღაურებადი. თუმცა, ეს ფულიც კი ბევრად მეტია, ვიდრე საქართველოში.

სამწუხაროა , ის ფაქტი, რომ საქართველოში არ გვაქვს ისეთი ეკონომიკური მდგომარეობა , რომ არ ვიყოთ ამ მწვავე რეალობის წინაშე. ყველა ვთანხმებით იმ ფაქტზე

, რომ ხშირ შემთხვევაში ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მიდის და სამუშაოდ ჩასულ ქალებს სხვა რეალობა ხვდება. მეტიც , ზოგიერთი ტრეფიკინგის მსხვერპლიც გამხდარა.

საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს ბერკეტი , რითაც პრობლემას გადაჭრის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი ტრეფიკინგის/მსხვერპლთა შესახებ და ასევე არის ფონდები სადაც „მსხვერპლი“ გადის რეაბილიტაციას, ვფიქრობ საკმარისი არ არის.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე **კვლევის მიზანია,** დადგინდეს სუსტი ეკონომიკის პირობებში არათანმიმდევრული ანტიტრეფიკინგული პოლიტიკა როგორ აისახება ტრფიკინგის საფრთხეზე. კვლევის ამოცანები: 1)გავანალიზოთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა; 2)შევაფასოთ ანტიტრეფიკინგული პოლიტიკა; 3)ვიკვლიოთ ანტიტრეფიკინგული პოლიტიკის გავლენა ტრეფიკინგის საფრთხეებზე;

ნაშრომის კვლევის **ობიექტს** წარმოადგენენ , ქართველი ქალები , როლებიც იყვნენ ან/და არიან ემიგრაციაში.

გამოიკვეთა **საკვლევი კითხვა** : რა ანტიტრეფიკინგულ პოლიტიკას ატარებს საქართველო ემიგტანტებზე ? **ჰიპოტეზა** კი შემდეგნარია : რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო არათანმიმდევრულია ანტიტრეფიკინგული პოლიტიკა, რაც ზრდის ტრეფიკინგის საფრთხეს.

- ამ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ვახსენოთ მიხეილ ბაძაღუას „ადამიანთა ვაჭრობა-ტრეფიკინგი (საქართვეელოს მაგალითზე) , ამ წიგნში კარგადა ტრეფიკინგის ფორმები გადმოცემული, ასევე თითოეული ფორმა კარგადაა ჩაშლილი და გაანალიზებული. ეს წიგნის დამეხმარება გადმოვცე ტრეფიკინგის სტატიები, მსხვერპლთა რეკრუტირება და ექსპლუატაცია. ავტორი გამოყოფს ტრეფიკინგის სტადიებს: ა) მსხვერპლის რეკრუტირება; ბ) მსხვერპლის გადაადგილება (მათ შორის და არა მხოლოდ საერთაშორისო საზღვრებზე გადაყვანა); გ) მსხვერპლის ექსპლუატაცია - მოგების მიღების მიზნით ადამიანური რსურსების არაკანონიერი გამოყენება. (ბაღაძუა, 2011)

ა) ადამიანთა ვაჭრობის - ტრეფიკინგის მსხვერპლის რეკრუტირება

რეკრუტირება გულისხმობსს მსხვერპლის ხელში ჩაგდებას მსხვერპლის ნებისმიერი ფორმით. რეკრუტირებაში ჩართულია , როგორც ორგანიზაციები , ასევე დამოუკიდებელი ცალკე ფიზიკური პირი. მათ ასევე შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული რეგალურად გაფორმებული ფორმა , ამავდროულად ასევე არალგალური სახე - დანაშაულებრივი ორგანიზაციები. საქართველოს ტერიტორიაზე ძალზე იშვიათია რეკრუტირების ფაქტი , ვინაიდან საქართველოს მოქალაქეები საკუთარი ძალებით , შუამავლების გარეშე , ახდენენ საზღვარი გადაკვეთონ.

ბ) ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაადგილება, მათ შორის საერთაშორისო საზღვრებზე გადაყვანა

ტრეფიკინგის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო ტრანპორტირება , რომელიც შეიძლება ყოფილიყო როგორც კანონიერი ასევე უკანუნო. მსხვერპლი გადაჰყავდათ ისეთ ადგილებში, სადაც გარემო მისთვის უცხო იყო , ვინაიდან თავი უსუსურად ეგრძნო. ასევე მნიშვნელოვანია, როდეაც საზღვრის გადაკვეთას ვეხებით გავმიჯნოთ ერთმანეთისგან მიგრანტი და ტრეფიკინგი. ეს საკითხი მუდამ აქტუალური იყო თუ სად გადიოდა გამიჯვნის ხაზი მიგრანტთა კონტრაბანდის და ტრეფიკინგის. თუ რატომ შეიძლება გარდაიქმნეს მიგრანტი ტრეფიკინგის მსხვერპლი , ამის მრავალი მიზეზი არსებობს: 1)შესაძლოა ტრეფიკინგის მომავალი მსხვერპლი დათანხმდეს საზღვის უკანონო გადაკვეთას, რის შემდეგაც ის მოტყუებით იძულეთი შრომით ამუშაონ; 2) ასევე მომავალ მიგრანტებს , ტრეფიკინგერები წინასწარ ართმევენ თანხას მომსახურეობისთვის, რაც ნაკლებ ეჭვს იწვევს. ამის შემდეგ ხდება მსხვერპლის ექსლუატაცია , წინასწარ აღებული თანხა კი დამატებითი შემოსავლის წყაროა მათთვის; 3)ასევე მიგრანტთა და ტრეფიკინგთა კონტრაბანდისთვის გამოიყენება ერთი და იგივე მარშუტი , რაც ართულებს მათ გარჩევადობას.

ამ ყოველივედან , შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა , რომ ქმედება , რომელიც დაიწყო მიგრანტა კონტრაბანდის სახით , შესაძლოა ადამიანით ვაჭრობაში-ტრეფიკინგში გადაიზარდოს.

ასევე , ავტორი საუბრობს ოთხ ნიშანზე , რომლითან განსხვავდება მიგრანტები და ტრეფიკინგის მსხვეპლი ერთმანეთისგან. ესენია: 1)თანხმობა - მიგრანტების

შემთხვევაში, ისინი წინასწარ არიან ინფორმირებულები ტრანსპორტირებაზე და თვითონვე გამოთქვამენ თანხმობას. ხოლო, ტრეფიკინგის დროს მათ აზრს არავინ ეკითხება; 2)ექსპლუატაცია - თუ მიგრანტთა კონტრაბანდა სრულდება მათი დანიშნულების ადგილზე გადაყვანით , ტრეფიკინგის დროს მნიშვნელოვანია არა გადაყვანა , არამედ გადაყვანის შემდგომ ეტაპი; 3) ტრანსნაციონალურობა - მიგრანტეთა კონტრბანდა ხასიათდება ყოველთვის ტრანსნაციონალურობით , ხოლო ტრეფიკინგს ადგილი აქვს (განსხვავებით მიგრანტებისგან) შიდასახელმწიფოებრივადაც, სადაც მსხვერპლი გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში , ან შესაძლოა ერთი რაიონიდან მეორეში; 4)მოგების წყარო - მიგრანტთა კონტრაბანდისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საზღვის გადალახვის ორგანიზებისთვის გასამჯელო , ხოლო ტრეფიკინგის დროს შემოსავლის წყარო მსხვერპლის ექსპლუატაციისგან მიღებული სახსრები არის.

გ) ადამიანთა ვაჭრობის - ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექპლუატაცია. ეს უკანასკლნელი ბოლო სტადიაა , რაც გულისხმობს მოგების მიღებას ადამიანთა რესურსების არაკანონიერად გამოყენებით. აქაც გამოიყოფა ქვეთავები, ესენია: 1)შრომის ექსპლუატაცია - რომელიციშლება და გამოიყოფა როგორც ფიზიკური ასევე ინტელექტუალური ექპლუატაცია. ფიზიკური ექსპლუატაციას მიეკუთნება სექსუალური, საწარმოო და საშინაო სფერო. ინტელექტუალურს კი - ცოდნის, აზროვნების, ნიჭის გამოყენებას; 2)ადამიანის ფიზიოლოგიური პარამეტრების ექსპლუატაცია - რაც გულისხმობს ადამიანის , როგორც დონორად გამოყენებას , ასევე ცალკეული ორგანოებით ვაჭრობას.

მხოლოდ ამ წიგნს ვერ დვეყრდნობით, ვინაიდან მწირი ინფორმაციაა ტრეფიკინგის გამომწვევ მიზეზებზე, ამიტომ ნაშრომის კიდევ ერთ ფუნდამენტურ წყაროდ ვიყენებ: ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი) ალექსანდრა დელემენჩუკი, ნინო გოგოლაძე. ამ ნაშრომში ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ტრეფიკინგის ხემშემწყობ მიზეზებზე, რომლებსაც ვაწყდებით ყოვედღიურობაში, როგორებიცა სიღარიბე, მსოფლიო ეკონომიკა და სხვა...

ნაშრომი დამეხმარა აღნიშნულ თემასთან დაკავშრებით ინფორმირებაში , თუმცა ნახსენები იყო მხოლოდ გამომწვევი მიზეზები , გადაჭრის მიზეზები კი არა:

1) სიღარიბე, რომელიც შესაძლებლობებს აკარგვინებს ადამიანებს კარგი სამსახურის ასევე განათლების, უწევთ ემიგრანტად წასვლა, სადაც საფრთხე იმისა, რომ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი დიდია.

2)ჩრდილოვანი ეკონომიკის მაშტაბს რომელიც ფართოა, ვინყავართ იაფი მუშახელის მოთხოვნაზე და სხვისი შრომითი ექპლუტაციის გაჩენასთან.

3) სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც სუსტია ხელს უწყობს არასინდისიერ კონკურენციას. მაგალითად : ასაკოვან , მოხუც ადამიანებს სთავაზობენ დახმარებას და სიცოცხლის უზრუნველყოფას , სამაგიეროდ კი ყიდიან მათ ბინებს და ტოვებენ მათ უსახლკაროდ.

4) არაკანონიერი მიგრაცია (დაურეგურულებელი), რომლის საწინდარია რეგულირების პრაქტიკისა და სამართებლრივი ბაზის დაუხვეწელობა.

5) დისკრიმინაცია, სქესის ფორმით, არათანაბარი შესაძლებლობა შრომით ბაზარზე, სადაც ქალებს ემუქრებათ სიღარიბე. ამის გარდა ამ ყოველივეს მივყავართ ოჯახში ძალადობაზე, სადაც ქალები უფრო დაუცველნი არიან. (ელენე რუსეცკი, 2019)

-ასევე კარგად აქვს გადმოცემული გიგა კარაპეტიანს, თავის ნაშრომში აღნიშნული პრობლემის სიმწვავე - „ემიგრანტი ქალების შრომა და ზრუნვის გლობალური ჯაჭვი“. სადაც ავტორი საუბობს იმ გამოწვევებზე რაზეც ქართველი ემიგრანტი ქალები გადიან , როგრიცა , ზეგანაკვეთური სამუშაოს არ ანაზღაურება, არაფორმალური სამუშაო. ასევე, ავტორი საუბრობს ქალების არჩევანზე , რომელიც სულაც არ არის მათი პირადი კეთილდღეობისთვის გათვლილი , მათი მთავარი მოტივი სესხის დაფარვა, ბავშვების სწავლა, ოჯახის წევრის რომლესაც ჯანმრთელობის რთული მდგომარეობა აქვს მათი შენახვა და მკურნალობა. ემიგრანტები ასევე გიგა კარაპეტიანის ნაშრომში აღნიშნავენ იმ ფაქტსაც , რომ ინტერნეტ კავშირმა დიდი წვრილი შეიტანა მათ ცხოვრებაში, მეტიც სწორედ სოციალური ქსელების დახმარებით რჩებიან წლობით ემიგრაციაში ვინაიდან

უწყვეტი კომუნიკაცია აქვთ ნათესავებთან და მათ მონატრებას ასე , რომ ვთქვათ „ახშობს“. (კარაპეტიანი, 2021)

საბაკალავრო ნაშრომში **თეორიულ ჩარჩოდ** გამოვიყენე პატრიკ ჯეიმსის ადამიანით ვაჭრობის ტრაგედია, რომელიც მოიცავს ტრეფიკინგის იმ ძირითად ნიშნებს რაზეც მსურს ყურადღების გამახვილება, ავტორს სიღრმისეულად აქვს პრობლემის არსი გაანალიზებული და გადმოცემული. ეს თეორიული ჩარჩო კარგად ერგება ჩემ თეორიულ საკვლევ თემას. კონკურენტული თეორიები და ევროპული მტკიცებულებები, სადაც ავტორი ტრეფინიკსა და იძულებით შრომაზე დაწვრილებით საუბრობს, **„ადამიანით ვაჭრობა ნიშნავს ადამიანთა დაქირავებას , ტრანსპორტირებას, გადაყვანას, თავშესაფარს ან მიღებას ძალით მუქარის ან გამოყენების ან იძუულების სხვა ფორმების. გატაცების, თაღლითობის, მოტყუების, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით. ან დაუცველ მდგომარეობაში, ან გადაგხების ან შეღავათების გადაცემა ან მიღება სხვა პირზე კონტროლის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის მისაღწევად, ექსპლუატაციის მიზნით. ექპლუატაცია უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას. მონობას ან მონობის, ან ორგანოების ამოღების მსგავს პრაქტიკას (გაერო 2006)“** (James, 2021) როგორც უკვე ვახსენე, მოცემულ თეორიულ ჩარჩოში ტრეფიკინგის ძირითადი ცნებებია ნახსენები , როგორებიცაა , მუქარა , მოტყუება , ექპსლუატაცია, დახასიათებულია ასევე, ექსპლუატაციიის ფორმები, რომელიც ორი კომპონნეტისგან შედგება.

მოცემულ საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებულია **კვლევის თვისებრივი მეთოდები,** კერძოდ ექსპერტული და სიღრმისეული ინტერვიუები. რესპონდენტთა შესარჩევად კი გამოვიყენე არალბათური, მიზნობრივი შერჩვა. ეს კვლევები ეყრდნობა **ნახევრად-სტრუქტურილ სიღრმისეულ ინტერვიუებს და დოკუმენტთა ანალიზს.**

ლიტერატურის მიმოხილვა

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით აკადემიური წყაროების მოძიება რთული აღმოჩნდა ვინაიდან მწირი ინფრომაცია იყო. მინდა განვიხილო რამდენიმე ნაშრომი, რომელიც დამეხმარა ნაშრომის დაწერაში.

პირველი , ეს არის 2009 წლის გამოცემული **ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი)** , რომლის თემატურ კატალოგს შეადგენს საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებები. საავტორო უფლებებს კი ქალთა საინფორმაციო ცენტრი. აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია ეფექტური ტექნოლოგიების მუშაობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად. ამგვარად, მოცემულ დოკუმეტში ასახულია ტრეფიკინგის ცნება, მისი გავრცელების არეალი და მსხვერპლი. უფრო , რომ განვავრცო საუბარია პროსტიტუციაზე , სექს-ტურიზმზე , პროპაგანდაზე, იძულებით შრომაზე და სხვა. მოცემული დოკუმენტი დამეხმარა ჩემი თემის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებაში კერძოდ იმ მიზეზებზე , რის გამოც შეიძლება გახდეს ქალი ტრეფიკინგის მსხვერპლი. რაც შეეხება , ნაკლოვანებას , მოცემულ ნაშრომში ბევრი ინფორმაციაა იმის შესახებ თუ როგორ ვრცელდება ტრეფიკინგი , როგორ შეიძლება გახდრეს ადამიანი თავისუნებურად ტრეფიკინგის მსხვერპლი , თუმცა არ არის ის გზა თუ როგორ უნდა ავარიდოთ თავი ტრეფიკინგს.

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი არის , **მიხეილ ბაძაღუას ადამინით ვაჭრობა-ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე) ,** ავტორი წიგნს გამოცემს 2011 წელს. ამ წლის მონაცემებს თუ გადავხედავთ დავინახავთ , რომ წინა წლებთან შედარებით 2011 წელს ტრეფიკინგის პროცენტულობა საგრძნობლად იმატებს და 40% შეადგენს. წიგნში განხილულია მსოფლიო კრიმინოლოგიური საზოგადოების მიერ ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის კუთხით თანამედროვე მიდგომა , ასევე საქართველოს მაგალითზე ანალიზი, აპრობაციის საფუძველზე წარმოდგენილი არის თავისებურებები და რეკომენდაციები. აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ტრეფიკინგთან დაკავშირებით ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ წყაროს ქართულ ენაზე არსებულთა შორის. ჩემს ნაშრომში აღნიშნული წიგნი დამეხმარა ისეთი ტენმინების გაგებაში და თემასთან დაკავშირებაში

როგორებიცა : ტრანსნაციონაურობა, ექსპლუატაცია , რა არის შრომის ექპლუატაცია და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი მრავალფეროვანია და მრავლისშემცველი, არიყო საუბარი „ტრეფიკინგერების“ დასჯის მეთოდებზე სამართლის კუთხით, რაც ვფიქრობ არანაკლებ მნიშვნელოვანია, როცა ამ თემის ირგვლივ ვსაუბრობთ.

მესამე , ასევე საინტერესო სტატია არის „**ემიგრანტი ქალების შრომა და ზრუვნის გლობალური ჯაჭვი**“ რომლის ავტორია გიგა კარაპეტიანი. სტატის გამოცემულაი 2021 წელს , როცა ემიგრანტების მასიურობა შეიმჩნევა ქვეყანაში , სწორედ ეს გახდა მოტივი სტატიის დაწერისა. მოცემულია რამდენიმე თემა რაზეც ავტორი ამახვილებს ყურადღებას, ესენია : სირთულე სამშობლოში ცხოვრების და ოჯახური ვალდებულების, უალტერნატივო იმედები სიღარიბის დაძლევის - ემიგრაცია, ცხოვრება ემიგრანტი ქალის და სირთულეები. მოცემული სტატის დამეხმარა ჩემს ნაშრომში აღმეღწერა ემიგრანტი ქალების ცხოვრება საზღვარგარეთ და ის სირთულებიი რასაც ისინი ყოველდღიურად გადიან.

სტატია ასახავს მხოლოდ პრობლემას, თუმცა არ არის პრობლემის გადაჭრის გზებზე საუბარი. ერთია , რომ სამუშაოდ საზღვარგარეთ მიდის ქალი იმისთვის რომ იარსებოს და ოჯახს დაეხმაროს , მეორე, თუ არ წავა საზღვარგარეთ როგორ უნდა გაიტანოს თავი ჩვენს ქვეყანაში ქალმა , სადაც ანაზღაურება შედარებით იმისა რასაც საზრვარგარეთ აკეთებს აქ დაბალია.

ასევე მნიშველოვანი ვახსენო **ჯეიმს პატრიკის ადამიანით ვაჭრობის ტრაგედია** , რომელიც დამეხმარა ჩემი ნაშრომის თეორიის ჩამოყალიბებაში. აღნიშნულ სტატიაში ავტორი აღწერს ტრეფიკინგის გავრცელების არელს , თუ რატომ გავრცელდა ტრეფიკინგი და სად. ჯეიმს პატრიკს ასევე კარგად აქვს აღსრულებისა და მიგრაციის მიდგომა გადმოცებული , სადაც ყურადღება აქვს გამახვილებული პოლიციის მიდგომაზე ქალთა ტრეფიკინგზე, რასაც შემდგომში განვავრცობ თემის ძირითად ნაწილში. ნაშრომში არის სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები ტრეფიკინგის, რაც დამეხმარება შევადარო საქართველოს მდგომარეობას.

თავი I ტრეფიკინგი: პოლიტიკური და კულტურული საფუძველი

1.1ანტიტრეფიკინგული პოლიტიკა

ნაშრომის დასაწყისში მიმოვიხილე ტრეფიკინგის ცნება და მისი გავრეცელების არეალი, საუბარს კი განვაგრძნობ ჩვენი ქვეყნის საქართველოს მაგალითზე. 2001 წლისთვის საქართველო, მეორე კალათაში არის, „სულ არის სამი კალათა : პირველი- რომელიც საუკეთესოა, ყველა სტანდარტს აკმაყოფილებ; მეორე- აქვს სტანდარტები მაგრამ მაინც არ არის იმდენად ეფექტიანი; მეორესა და მესამეს შორის - დაბალი დონეზე არის სახელმწიფო და ეფექტიანი პოლიტიკის ნაკლებობა აქვს; მესამე კალათა -არაფერს არ აკეთებს ამ მიმართულებით“ (წყარო: ექსპერტული ინტერვიუ, ანა ინავიშვლი) 2001 წლის მონაცემების მიზეზი არასაკმარისი ბიუჯეტია, რის გამოც ვერ ანხორციელებდა ქვეყანა სწორ დაგეგმარებას ანტიტრეფიკინგული პოლიტიკის. უკვე 2002 წლიდან იწყება მუშაობა კანონპროექტებზე რომელიც ეხებოდა უშუალოდ ტრეფიკინგს, ამ წლიდან საქართველო გადადის მეორე კალათაში, საამაყოა ის ფაქტი, რომ ქვეყანა იმდროინდელი ფინანსური არამდგრადობის მიუხედავარ ახერხებდა ტრეფიკინგთან ბრძოლის სწორ გეგმას, ასევე ამერიკის საელჩო გვეხმარებოდა კვალიფიკაციის ამაღლებაში და პრობლემის უკეთ შეცნობაში, რამოდენიმე საჯარო მოხელე გამოგზავნეს მათ ტრენინგებისთვის. 2003 წლისთვის პირველ ნახევარში საქართველო გააკრიტიკეს ანტიტრეფიკინგული პოლიტიკით, რის შედეგადაც ის მესამე კალათაში გადადის, თუმცა 2003 წლის მეორე ნახევარში ქვეყანა გადაურჩა ამერიკის სანქციებს, რაც მოიცადა კერძო დაფინანსების გაუქმებას, საქართველომ დაიბრუნა ადგილი მეორე კალათაში. 2004 წლისთვის საქართველო მესამეში არა, თუმცა მეორე გარდამვალ კალათაშია, ქვეყნის ამ პრობლემასთან ბრძოლის რეგრესი გამოწვეულია მსხვერპლთა დაცვის და დახმარების ცენტრების არ არსებობით. 2005 წლისთვის საქართველო უბრუნდება მეორე კალათას, ქვეყანა ახერხებს დაპირებების შესრულებას, ასევე ამ პერიდში მაღლდება საზოგადოების ცნობიერება, იზრდება სახემწიფოს ჩართულობაც, თუმცა პრობლემატური იყო ისევ

მსხვერპლთა დაცვის კუთხით მდგომარეობა. 2006 წლისთვის ქვეყანა ისევ მეორე კალათაშია. აღსანიშნავია 2007 წელი, რადგან ანგარიშში პირველად დაიწერა შემდეგი სიტყვები: „საქართველო სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს“. (ალექსიძე, 2014) ამ პერიოდში საქართველო გამოირჩევა სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაში მოვაჭრეების მიმართ, ასევე პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის კუთხითაც. 2008 წელს ქვეყანამ გადმოინაცვლა პირველ კალათაში, თუმცა აქვს მაინც გარკვეული ნაკლოვანებები მსხვეპლთთან მუშაობის მხრივ. 2009 წელსაც საქართველო ისევ პირველ კალათაშია. 2010, 2011, 2012 წლების მითითებები და მდგომარეობა ერთმანეთის მსგავსია, გამოირჩევა 2012 წელი სადაც სისუსტისკენაა მიდრეკილი ქვეყანა, მიზეზი კი შრომის ინსპექტორების არ არსებობა და ასევე, ტრეფიკინგის შემდგომ მსხვეპლთა დაცვის არაეფექტური მეთოდები გახლდათ.

საქართველო 2007 წლიდან 2012 წლამდე ინარჩუნებდა პირველ კალათაში ადგილს, 2013 წელს კი ვითარება იცვლება და ვქვეითდებით მეორე კალათაში. ანგარიშში სადაც ეს მონაცემებია აღნიშნული, დეტალურადაა განხილული მიზეზები. პირველრიგში საუბარია, რომ საქართველო იმდროისთვის იყო წარმომშობი და დანიშნულების ქვეყანა ტრეფიკინგისთვის. გოგონები და ქალები, საქართველოს მოქალაქეები პროსტიტუციაში იყვნენ ჩაბმული ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ამასთანავე საქართველოშიც ფიქსირდებოდა ტრეფიკინგის შემთხვევები, უზბეკი ქალების, ზღვისპირა ქალაქებში, კერძოდ კი ბათუმსა და გონიოში. 2013 წლისთვის მომრავლდა ასევე ბავშვების იძულებითი მათხოვრობის შემთხვევები, რომელიც ცალსახად ტრეფიკინგია. ახლა კი განვიხილავ იმ ძირითად ორ მიზეზს რის შედეგადაც მოხდა ერთ წელში ტრეფიკინგთან ბრძოლის პირველი კალათიდან ჩამოქვეითება. ეს მიზეზებია, პირველი მსხვრეპლთა იდენთიფიცირება და მეორე გამოვლენა დამნაშავე პირების. 2012 წელს პროსტიტუციაში ჩაბმისთვის ორ პირზე განხორციელდა სამართლებრივი დევნა, თუმცა არცერთი მათგანი არ დაუჭერიათ. ამავე წელს სააპელაციო სასამართლომ სასჯელი წინა წლის ანგარიშში მოხსენებული შეამცირა15 წლიდან 5 წლამდე. (ალექსიძე, 2014)

უფრო უკეთ რომ წარმოვაჩინო ჩვენი ქვეყნის ვითარება წარმოვადგენ დიაგრამას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები

მიუთითებს , რომ 2022 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 125 269 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 25.3 პროცენტით მეტია. ასევე გაზრდილია ტრეფიკინგის შემთხვევათა რიცხვი :



საქართველოს სტატისტიკის ეროვნულისამსახური;2017 წელი; მოძიების თარიღი 25.12.23

https://imedinews.ge/ge/samartali/49149/saqartveloshi-trepikingis-shemtkhvevebi-gaizarda

დიაგრამაზე ჩანს, რომ ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2005 წელს, თუმცა მომდევნო წლებში პროცენტული მაჩვენებლები იკლებს. ყველაზე კარგი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს, სადაც ტრეფიკინგის შემთხვევათა რიცხვი 0% იყო. 2015 წლიდან კი შემთხვევები ისევ იმატებს. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, მილიტარიზმმა, სამოქალაქო არეულობამ, შიდა შეიარაღებულმა კონფლიქტმა და სტიქიურმა კატასტროფებმა შეიძლება გამოიწვიოს ტრეფიკინგის ზრდა. მოსახლეობის დესტაბილიზაცია და გადაადგილება ზრდის მათ დაუცველობას ექსპლუატაციისა და ძალადობის მიმართ ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომის გზით.

„რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს პოლიტიკას და შეფასებას თუ როგორ მოქმედებს ქვეყანა აღნიშნულ პრობლემაზე მეტად პოზიტიურია. ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველოს უწევს მონიტორინგი ევროპის საბჭოს მიერ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ , რომლის საფუზველზეც ოთხი წლის განმავლობაში სპეციალური ექსპერტთა ჯგუფი აფასებს კონკრეტული საკითხის მიმართ პოლიტიკას , ჩამოდიან და

ატრენინგებენ ან წერილობით ანგარიშს აწვდის ორგანო რის შედეგადაც ფასდებიან, მინდა ავღნიშრო რომ არის პოზიტიური შეფასებები. ასევე, ამერიკას აქვს ყოველწლიური ანგარიში 2016 წლიდან 2023 წლამდე და აფასებს 200მდე ქვეყანას, მათ შორის არის საქართველოც, მერვე წელია საქართველო არის პირველ კალათაში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ , რომ ეფექტურად მუშაობს საქართველო აღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ და ნამდვილად საამაყოა, როდესაც 200 ქვეყნებს შორის ასეთ წარმატებულ პოლიტიკას ვანხორციელებთ.“ (წყარო:ექსპერტული ინტერვიუ, ანა ივანიშვილი)

1.2 კულტურული გავლენა

კულტურული და სოციალური ნორმები გავლენას ახდენს ადამიანებით ვაჭრობაზე მრავალი გზით. სოციალური ნორმები არის წესები, ვალდებულებები და რწმენა, რომლებიც არეგულირებენ ჯგუფის წევრებს როგორ უნდა იმოქმედონ. ისინი საზოგადოებების ფუნქციონირების არსებითი კომპონენტია და გვეხმარება განვსაზღვროთ რა არის სწორი ან არასწორი და კარგი ან ცუდი. ადამიანებით ვაჭრობა გლობალური პრობლემაა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ასაკის, სქესის და რასის ადამიანზე. თუმცა, როგორ იმოქმედებს ის ადამიანებზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ცხოვრობენ, როგორია მათი კულტურა და სოციალური ნორმები.

საინტერესოა თუ როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან კულტურა და ტრეფიკინგი. როგორც, ვიცით მრავალ ქვეყანაში არის შემორჩენილი ქალთა მიმართ ტრადიცები , როგორებიცა: ნაადრევი ქორწინება, სასქესო ორგანიზმნის დასახიჩრება და სხვა. ამ პირობების გამო ბევრი ქალი ტოვებს ქვეყანას , ოჯახს თავისი ტრადიციების გამო და მიდის სხვა ქვეყანაში. მათ არაქვთ სათანადო განათლება ამიტომ უწევთ ისეთი საქმის გაკეთება რაც კანონიერი არ არის და უნებურდ ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლები. ქვეყნები რომლებიც ამ უკანასკნელი სიტუაციის ნათელი მაგალითია , არის ნიგერი და ტანზანია. ქალები თავიანთ თემებში განიცდიან უპატივცემულობას, არ აქვთ უფლება მიიღონ რაიმე გადაწყვეტილება. მათ ექცევიან როგორც რეპროდუქციულ ობიექტებს და არა როგორც ძვირფას ადამიანებს.

თავი II: ეკონომიკური კრიზისის გავლენა ტრეფიკინგზე

2.1 ეკონომიკური სტატისტიკის მიმოხილვა

იმის გამო, რომ არჩევანის თავისუფლება და ეკონომიკური მოგება პროდუქტიულობის ცენტრშია, ადამიანებით ვაჭრობა აფერხებს ეროვნულ და საერთაშორისო ეკონომიკის ზრდას. მომდევნო 10 წლის განმავლობაში დანაშაულის ექსპერტები ელიან ადამიანებით ვაჭრობამ გადააჭარბოს ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობას თავისი სიხშირით, ადამიანთა კეთილდღეობისთვის და კრიმინალების მომგებიანობით. როგორც ხალხი ხდება დაუცველი ექსპლუატაციის მიმართ და ბიზნესი მუდმივად ეძებს ყველაზე დაბალ შრომის წყაროებს, ადამიანებით ვაჭრობა იწვევს მოგებას. ადამიანებით ვაჭრობა წარმოდგენს , როგორც მონოპოლისტურ კონკურენტულ ინდუსტრიას, რომელშიც ტრეფიკერები მოქმედებენ , როგორც შუამავლები , დაუცველ პირებსა და დამსაქმებლებს შორის.

ქალები	2018	2019	2020	2021	2022	2023
დასაქმების დონე (საშუალო პროცენტულობით)	36,4%	36,2%	33,9%	33,3%	35,4%	36,6%
უმუშევრობის დონე (საშუალო პროცენტულობით)	17,7%	16%	16,3%	14,7%	10,5%	14,1%
კაცები	2018	2019	2020	2021	2022	2023
დასაქმების-დონე (საშუალო პროცენტულობით)	50%	50,1%	49,5%	49,5%	51,7%	52,6%
უმუშევრობისდონე (საშუალო პროცენტულობით)	20,5%	18,9%	20,2%	22,7%	19,3%	18,8%

წყარო: სამუშაო ძალის გამოკვლევა; 2018-2023 წლები; მოძიების თარიღი 15.01.24, https://www.geostat.ge/ka

სიღარიბე არის შრომითი ტრეფიკინგის მიზეზი და მისგან გამომდინარეობს ისეთი საკითხები, როგორიცაა უმუშევრობა და ეკონომიკური განუვითარებლობა. „ეკონომიკურ მდგომარეობას საქართველოში აქვს გავლენა ტრეფიკინგზე, ისეთ ადამიანებს არჩევენ და არწმუნებენ რომლებსაც უჭირთ, პირდებიან დასაქმებას , იბირებენ და შემდგომ გადადიან მათ ექსპლუატაციაზე. საქართველოში გამოყოფილი უწყებები დადიან ქალაქსა თუ სოფლებში და ინფორმაციას აწვდიან მოსახმეობას, მოუწოდებენ სიფრთხილისკენ .“ (წყარო: ექსპერტული ინტერვიუ, ანა ივანიშვილი)

მსხვერპლის პერსპექტივიდან არის დასაქმების შესაძლებლობების არარსებობა და რესურსების ნაკლებობა ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რაც იწვევს ადამიანების შრომით ტრეფიკინგს. არიან ადამიანები, რომლებიც ეძებენ ლეგიტიმურ სამუშაოს, მაგრამ ხვდებიან ტრეფიკინგის ქვეშ. ზემოთ წარდგენილი ცხრილი ნათლად აღწერს სამუშაო ძალის არათანარად განაწილებას, კერძოდ ქალთა და კაცთა შორის სამუშაო პროცენტულობას. ცხრილზე დაკვირვებით ვხედავთ, რომ კაცთა დასაქმება ყოველწლიურად იზრდება და თითქმის არ ჩამოუვარდება 50% , რასაც ვერ ვიტყვით ქალთა დასაქმების დონეზე რომლის მაღალი პროცენტულობა შეადგენს დაახლოებით 37%. თუმცა, აღსანიშნია ის ფაქტორიც , რომ უმუშევრობის დონე მამაკაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში. ეს არათანაბარი სამუშაო ძალის განაწილება ჩვენს ქვეყანაში აისახება ემიგრაციაზე და შემდგომ უკვე ტრეფიკინგზე. 2023 წელს, ჩანს რომ ქალთა დასაქმების დონე წინა წლებთან შედარებით იმატებს, ეს ყოველივე კი ეკონომიკური განვითარების მეშვეობით ხდება. მოხდა ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებული მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი განაპირობა უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებამ. საქართველოში მყარ ნიადაგს წარმატებული ბიზნესისთვის წარმოადგენს განათლება, ინფრასტრუქტურა, კონკურენტუნარიანი და კვალიფიცირებული მუშახელი.

2.2 ქვეყნის ცხოვრების დონე ექსპერტის შეფასებებით

ჯინის კოეფიციენტი (ჯინის ინდექსი ან ჯინის თანაფარდობა) არის პოპულაციაში ეკონომიკური უთანასწორობის სტატისტიკური საზომი. კოეფიციენტი ზომავს შემოსავლის ან სიმდიდრის განაწილებას მოსახლეობის წევრებს შორის. ჯინის კოეფიციენტი ეკონომიკური უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული საზომია. კოეფიციენტმა შეიძლება მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელობა 0-დან 1-მდე (ან 0%-დან 100%-მდე). ნულის კოეფიციენტი მიუთითებს შემოსავლის ან სიმდიდრის სრულიად თანაბარ განაწილებაზე მოსახლეობაში. ერთის კოეფიციენტი წარმოადგენს სრულყოფილ უთანასწორობას, როდესაც მოსახლეობაში ერთი ადამიანი იღებს მთელ შემოსავალს, ხოლო სხვა ადამიანები არაფერს შოულობენ. გარდა ამისა, ზოგიერთ იშვიათ შემთხვევებში, კოეფიციენტი შეიძლება აღემატებოდეს 100% -ს. ეს თეორიულად შეიძლება მოხდეს, როდესაც მოსახლეობის შემოსავალი ან სიმდიდრე უარყოფითია. თუმცა, ზემოაღნიშნული სცენარები რეალურ სამყაროში ძალზე იშვიათია. მონაცემები აჩვენებს, რომ კოეფიციენტი ზოგადად 24%-დან 63%-მდე მერყეობს.

წლები	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯები
2016	0,39
2017	0,40
2018	0,37
2019	0,37
2020	0,36
2021	0,34
2022	0,34

წყარო: სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები; 2006-2022; მოძიების თარიღი 15.01.24, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

როგორც ვხედავთ , საქართველოში უთანასწორობის დონე ბოლო ხანებში ყველაზე მტი 2017 წელს დაფიქსირდა, მომდევნო წლებში რიცხვი იკლებს და 2022 წლის სურათით 2021 წლიდან ვინარჩუნებთ წინა წლებთან შედარებით ყველაზე დაბალ მაჩვენებელს. შესაძლოა აქედან გამომდინარე ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ეკონომიკურად უთანასწორობის დონე დაბალია, თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ თუ რამდენად დაბალია ეს მაჩვენებელი ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა და რომლის მოსახლეობის რაოდენობაც 4მილიონს შეადგენს.

როდესაც, ეკონომიკურ უთანასწოროებაზე და სახსრების არათანაბარ გადანაწილებაზე ვსაუბრობთ უნდა ვახსენოთ, ჩინეთი და ინდოეთი. ორი ყველაზე დასახლებული ქვეყანაა მსოფლიოში, რომლებსაც ასევე აქვთ თანამედროვე მონობის მსხვერპლის ყველაზე მეტი რაოდენობა. ინდოეთი და ჩინეთი ზედმეტად დასახლებული არიან და ეს ამძიმებს ქვეყანაში არსებულ რესურსებს, რაც ზღუდავს საცხოვრებლის, ტრანსპორტირებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობას. დამნაშავეთა პერსპექტივიდან არის რეგულარულად საკითხები, როგორიცაა კორუფცია და რეპრესიული რეჟიმები, რაც ხელს უწყობს გარემოს, რომ მოხდეს ტრეფიკინგი. ინდოეთში ადამიანების შრომითი ტრეფიკინგი იმართება ბიზნესის მფლობელების მიერ, რომლებიც ასევე არიან ძლიერი პოლიტიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან კორუმპირებული სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ ვალის მონობა აკრძალულია, არიან ღარიბი სოფლელები, რომლებმაც არ იციან თავიანთი უფლებები. ჩინეთში შრომითი ტრეფიკინგი ძირითადად უგულებელყოფილია ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ. ადამიანების შრომით ტრეფიკინგს უშუალოდ უწყობს ხელს ჩინეთის კომუნისტური მთავრობა, ამიტომ უნდა არსებობდეს გარე ორგანიზაცია, რომელსაც პასუხისმგებელობა დაეკისრება. (Elizabeth M. Wheaton*, 2009)

აქვე მინდა ვახსენო HDI ქულა რაც გავლენას ახდენს შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობაზე , ვინაიდან ადამიანური უნარების განუვითარებლობა ქმნის არასასურველ გარემოს, რაც დასაბამდ უდებს შრომით ტრეფიკინგს. HDI ქულა უკეთესად, რომ ავხსნა არის ადამიანის განვითარების ინდექსი, რაც უფრო იზრდება HDI ქულა მით უფრო მცირდება მსხვერპლი, ხოლო რაც უფრო მცირდება HDI ქულა

მით უფრო იზრდება მსხვერპლი. 2021 წლის მონაცემებით საქართველოს 61-ე ადგილზეა 0.812 ქულით. (Forbes Georgia, 2021)

2.3 მიგრანტების შეფასება ეკონომიკურ პოლიტიკაზე

ეკონომიკური კეთილდღეობა განიხილება განვითარების ერთ-ერთ საზომად და ამის გაგება მნიშვნელოვანია მიგრაციის გავლენით ეკონომიკურ ფაქტორებზე. უფრო მეტიც, ეკონომიკური აღმავლობა და მიგრაცია როგორც ჩანს, ერთმანეთს აძლიერებს. საქართველოს კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა მიგრაციის ეკონომიკური გავლენის გაგება. რადგან საზღვარგარეთ ქართველი მიგრანტების 73% და დაბრუნებული მიგრანტების 61% მიუთითებს ფინანსურ ზეწოლაზე, არასათანადო ანაზღურებაზე როგორც ემიგრაციის მთავარი მიზეზზე. (Mariam Chumburidze, 2015) მიგრანტთა მთავარ მოტივს რასაკვირველია ეკონიმიკური არამდგრადობა წარმოადგენს და ამის შესახებ ქართველი მიგრანტებიც ხმამაღლა საუბრობენ.

თავი III საქართველოს მიგრაციული პოლიტიკა

3.1 მიგრაციის საფრთხე

ტრეფიკინგი რთული ფენომენია, რომელიც ხშირად განპირობებულია ან გავლენას ახდენს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა ფაქტორებით. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ის, რომ პოტენციური მსხვერპლთა მიგრაციის სურვილი გამოიყენება დამნაშავეების მიერ, რათა დაიქირაონ და მოიპოვონ თავდაპირველი კონტროლი ან თანამშრომლობა. ყოველთვის იყო ის, ვისზეც აპირებდნენ მიგრაციას. ზოგიერთი საერთო ფაქტორია ადგილობრივი პირობები, რომლებიც უბიძგებს მოსახლეობას უკეთესი პირობების საძიებლად მიგრაციის სურვილს, ესენია : სიღარიბე, ჩაგვრა, ადამიანის უფლებების ნაკლებობა, სოციალური ან ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა, კონფლიქტის ან არასტაბილურობის საფრთხე და მსგავსი პირობები.

პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, მილიტარიზმმა, სამოქალაქო არეულობამ, შიდა შეიარაღებულმა კონფლიქტმა და სტიქიურმა კატასტროფებმა შეიძლება გამოიწვიოს ტრეფიკინგის ზრდა. მოსახლეობის დესტაბილიზაცია და გადაადგილება ზრდის მათ დაუცველობას ექსპლუატაციისა და ძალადობის მიმართ ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომის გზით. ომმა და სამოქალაქო დაპირისპირებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის მასიური გადაადგილება, ობლები და ქუჩის ბავშვები უკიდურესად დაუცველები გახდნენ ტრეფიკინგის მიმართ. ეს ფაქტორები, როგორც წესი, ახდენს ზეწოლას მსხვერპლებზე, რაც მათ „უბიძგებს“ მიგრაციაში და, შესაბამისად, ტრეფიკერების კონტროლში, მაგრამ სხვა ფაქტორები, რომლებიც პოტენციურ მსხვერპლს „გაზიდავს“ ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სიღარიბე და სიმდიდრე არის შედარებითი ცნებები, რომლებიც იწვევს როგორც მიგრაციას, ასევე ტრეფიკინგის მოდელებს, რომლებშიც მსხვერპლები გადადიან უკიდურესი სიღარიბის პირობებიდან ნაკლებად ექსტრემალურ სიღარიბის პირობებში. ამ კონტექსტში, განვითარებად სამყაროში სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო მედიის, მათ შორის ინტერნეტის, სწრაფმა გაფართოებამ შესაძლოა გაზარდოს განვითარებულ ქვეყნებში მიგრაციის სურვილი და, ამასთან, მიგრანტების დაუცველობა ტრეფიკერების მიმართ. ღარიბი ბავშვების უფრო შეძლებულ მეგობრებზე ან ნათესავებზე მინდობის პრაქტიკამ შეიძლება შექმნას დაუცველობა. ზოგიერთი მშობელი ყიდის შვილებს არა მხოლოდ ფულისთვის, არამედ იმ იმედითაც, რომ მათი შვილები გადაურჩებიან ქრონიკულ სიღარიბეს და გადავლენ ისეთ ადგილას, სადაც უკეთესი ცხოვრება და მეტი შესაძლებლობა ექნებათ.ზოგიერთ შემთხვევაში სოციალური ან კულტურული პრაქტიკა ასევე ხელს უწყობს ტრეფიკინგს. მაგალითად, საზოგადოებაში ქალებისა და გოგონების დევალვაცია(ეროვნული ვალუტის შემცირება სხვა ქვეყნის ვალუტის მიმართ)მათ არაპროპორციულად დაუცველს ხდის ტრეფიკინგის მიმართ. ამ ფაქტორებს ემატება კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები, საერთაშორისო ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების ან ქსელების ჩართულობა და იმიგრაციისა და სამართალდამცავი ოფიცრების შეზღუდული შესაძლებლობები ან ვალდებულება საზღვრების კონტროლისთვის. ადეკვატური კანონმდებლობის არარსებობა, პოლიტიკური ნება და ვალდებულება არსებული კანონმდებლობის ან მანდატების

აღსრულების მიზნით არის სხვა ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანებით ვაჭრობას. ზემოაღნიშნული ძირითადი მიზეზების საპასუხოდ, პრევენციის სტრატეგიების უმეტესობა მიეკუთვნება ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

- პოტენციური მსხვერპლის მოწყვლადობის შემცირება სოციალური და ეკონომიკური განვითარების გზით;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებაზე მოთხოვნის დათრგუნვა;
- სახალხო განათლება;
- სასაზღვრო კონტროლი ;
- საჯარო მოხელეების კორუფციის პრევენცია.

მიგრაცია განპირობებულია , როგორც უკვე ვახსენე ძირითადად ეკონომიკური პრობლემებით, იშვიათია პოლიტიკური თუ სტიქიური მიზეზები. ეკონომიკური პრობლემა უფრო ხშირად ადამიანისგან შექმნილი პრობლემაა. იძულებითია როცა მიგრაცია უწევთ ომის , შეირაღებული კონფლიქტის და რელიგიური-სექსუალური პრობლემის გამო. საქართველოდან კი უმეტესად ეკომიკური პრობლემიბის გამო ხდება მიგრაცია. როგორც კი ქვეყანა იწყებს ეკონომიკურ განვითარებას მიგრაცია ნელ-ნელა იკლებს. თუმცა , ეს ტენდეცია სულ ესე არ არის, შეიძლება ქვეყანა სწრაფად განვითარდეს და ამაის ფონზე მიგრაციამაც იმატოს , მაგალითად ევროპის ქვეყნებში „მწვავე რელოლუცია“ მოხდა , ე.წ ტექნიკური ბუმი, სოფლის მერნეობაში აღარ იყო საჭირო მუშახელი რადგან სამყარო ისე განვითარდა, რომ მათ საქმიანობას აღარ საჭიროებდა, მაგ: ესპანეთში დიდ ფერმას მხოლოდ ერთი ფერმერი მართავს დღეს, მას აქვს ტექნოლოგიები და არ სჭირდება ადამიანის შრომითი დახმარება. ამ ყოველივემ კი გამოიწვია მათ ქვეყებში მიგრაციის განვითარება , მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურად იყო განვითარებული ქვეყანა ის აღარ საჭიროებდა მაგალითის დონეზე სოფლის მეურნეობაში დასაქმებას.

„ასევე უნდა ვახსენოთ ის ფაქტი, როდესაც ემიგრანტი ქვეყანას ტოვებს , შესაძლოა მშობლიურმა ქვეყანამ მიაღწიოს ეკონომიკურ განვითარებას და გაუტოლდეს იმ ხელფასს რასაც სხვა ქვეყანაში უხდიან , შესაბამისად ისინი უკან ბრუნდებიან, ამის

მაგალითებია : ესპანეთი და იტალია , რომლებიც თუ ადრე ემიგრანტთა დიდ რაოდენობას განიცდიდენენ , ეხლა პირიქით იმიგრანტების დიდი ოდენობაა აქ. საქართველოს აქვს საკმაოდ სერიუზული მდგომარეობა , აქ ემიგრაცია გრძლედება უკვე 30 წელი ეს ძალიან დიდი რიცხვია ისეთი ქვეყნისთვის როგორიც ჩვენ ვართ. წელიწადში 100000 ადამიანი გადის საქართველოდან, 2019 წელს ეს იყო 101000, 2020 წელს 122000. საქართველოს ხელისუფლება ამ შემთხვევაში პოპილისტურ განცხადებებს აკეთებს და სინამდვილები არაფერს არ აკეთებენ პრობლემის ირგვლის. უნდა მოხდეს მიგრანტთა ღირსეული დაბრუნება, რაც გულისხმობს როცა ბრუნდება ადამიანი თავისი კაპიტალით და აქვს ინვესტაციის შესაძლებლობა. გარდა ტრეფიკინგისა ემიგრანტებს ასევე სხვა საფრთხე შეიძლება შეექმენათ , ვგულისხმობ არალეგალურ მიგრაციას , მათ არ აქვთ საბუთები შესაბამისად არ აქვთ სამედიცინო დახმარება, დაზღევავა, ასევე თუ გაქურდეს ვერ იჩივლებენ, მოკლედ ისინი დაუცველად არიან უცხო ქვეყანაში.“ (წყარო: ექსპერტული ინტერვიუ, ია იაშვილი)

3.2 შერეული მიგრაცია

ტერმინი „შერეული მიგრაცია“ აღნიშნავს ადამიანთა კომპლექსურ მოძრაობას, რომლებიც გადაადგილდებიან სხვადასხვა მიზეზების გამო და აქვთ განსხვავებული საჭიროებები, მათ შორის ლტოლვილები, კონტრაბანდული მიგრანტები და ტრეფიკინგის მსხვერპლები. ეს არის ტერმინი, რომელიც განვითარდა პოლიტიკის ლანდშაფტში. ადამიანები მოგზაურობისას იყენებენ ერთსა და იმავე მარშრუტებსა და სატრანსპორტო საშუალებებს. ფართომასშტაბიანი გადაადგილებისას ლტოლვილები და მიგრანტები ახორციელებენ სახიფათო მოგზაურობებს, რომლის დროსაც ისინი შეიძლება დაექვემდებარონ ადამიანის უფლებების მრავალჯერ დარღვევას მათი კონტრაბანდისტების, ტრეფიკერებისა და სხვა დამნაშავეების მიერ. გარდა ამისა, მათი მოგზაურობის განმავლობაში, ისინი შეიძლება მოხვდნენ და გასცდნენ სხვადასხვა

სამართლებრივ კატეგორიებს და, შესაბამისად, მათზე შეიძლება გამოყენებულ იქნას დაცვის განსხვავებული ჩარჩოები მათი ცვალებადი გარემოებების კონტექსტში. კონტრაბანდული მიგრანტი შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი, ან არალეგალური მიგრანტი შეიძლება გახდეს ლტოლვილი თავისი წარმოშობის ქვეყანაში გარემოებების ცვლილების გამო. შერეული მიგრაციის ეფექტური მართვა მოითხოვს დაინტერესებული ადამიანების სხვადასხვა მოტივაციის გათვალისწინებას. მიგრანტთა მიღების სისტემები შეიძლება განვითარდეს და გაუმჯობესდეს პოლისტიკური თვალსაზრისით. იდეალურ შემთხვევაში, შერეული მიგრაცია მოითხოვს მულტიდისციპლინურ და ყოვლისმომცველ მიდგომას, მრავალი დაინტერესებული სამთავრობო მხარის (მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროები, სოციალური განვითარების სამინისტროები, იმიგრაციის სამინისტროები და საერთაშორისო განვითარების კომპეტენტური ორგანოები) და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით საინტერესოა ე.წ. სამი მდგრადი გადაწყვეტა ლტოლვილთა რეჟიმთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ლტოლვილების სამ პასუხს: 1- ადგილობრივი ინტეგრაცია, 2-დაბრუნება იმ მიზეზების შეწყვეტის შემდეგ, რაც აიძულა საერთაშორისო დაცვამ და 3 მესამე ქვეყანაში განსახლება. მეოთხე გამზირი (fourth avenue) - ეს არის ტრანსნაციონალური მობილურობა - მოწოდებულია შერეული მიგრაციის უფრო კონკრეტულად მოსაგვარებლად. ამ წინადადების თანახმად, მიგრანტები (მათ შორის არა ლტოლვილები) ინარჩუნებენ კავშირებს თავიანთი წარმოშობის ქვეყანასთან (მაგ. ფულადი გზავნილების გაგზავნით და კულტურული პრაქტიკით) და ამავდროულად ხელს უწყობენ თავიანთი საცხოვრებელი ქვეყნების განვითარებას .

შერეულ მიგრაციულ ნაკადებზე რეაგირების მთავარი გამოწვევა არის ის, რომ სამთავრობო და ინსტიტუციური პოლიტიკა მიგრაციის მიმართ ძირითადად ეფუძნება მიგრაციის მოტივების არაზუსტ გაგებას. შესაბამისად, მიგრაციაზე რეაგირება ყოველთვის არ არის ეფექტური. ერთი განსაკუთრებული გამოწვევა არის ის, რომ ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი გზა, რომელიც ღიაა არალეგალური მიგრანტების ქვეყანაში შესვლისთვის, არის თავშესაფრის მოთხოვნა, მაშინაც კი, როდესაც ისინი თავშესაფრის მაძიებლები არ არიან. შედეგად, თავშესაფრის მაძიებლები შეიძლება არაზუსტად აღიქმებოდეს, როგორც შენიღბული ეკონომიკური მიგრანტები. ეფექტურმა მიდგომებმა

უნდა შესთავაზონ მიგრანტებს მრავალი გზა, მაგალითად, რეგულარული შრომითი მიგრაციის გზები ღიაა ეკონომიკური მიგრანტებისთვის და თავშესაფრის გზები ღიაა თავშესაფრის მაძიებლებისთვის. ამ მიდგომის დაცვამ დროთა განმავლობაში შეიძლება გამოიწვიოს ორივე სისტემის ერთმანეთის გაძლიერება, მიგრანტების დამუშავება შესაბამისი სამართლებრივი გზებით. ეს მსჯელობა გამოიყენება, საჭირო ადაპტაციით, შერეულ მიგრაციულ ნაკადებზე, რომლებიც აერთიანებს დამატებით კომპონენტებსა და მოტივებს (როგორიცაა განათლების შესაძლებლობები).

თავი IV. ტრეფიკინგი საქართველოში: საფრთხეები და გამოწვევები

4.1 საქართველოს პოლიტიკა

პრობლემა ცალსახად ტრანსნაციონალურია, რაც გულისხმობ, შეიძლება საქართველოში დაიწყოს და სხვა ქვეყანაში დასრულდეს, ასე , რომ მისი განსაზღვრა რთულია. საქართველოს აქვს 30 ქვეყანასთან შეთანხმება დადებული , ქვეყანას ასევე საზღვრებთან ჰყავს საპოლიციო გუნდი, პოლიციის ატაშეები, ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა თურქეთი, ვინაიდან როგორც უკვე ავღნიშნე ყველაზე ხშირად სწორედ აქ ხდება აღნიშნული საკითხი. პოლიციის ატაშების დახმარებით დროულად ხდება პრობლემის იდენტიფიკაცია.

“საყურადღებოა, საქართველოს პოლიტიკა 2015 წელს, როცა ვიზალიბელიზაციისა და უვიზო მიმოსვლის მიღებისთვის ყველა ვალდებულება დაფარა საქართველომ, ტრეფიკინგი იყო ერთ-ერთი გამოწვევა, ევროკომისიამ შეაფასა იმდროინელი ქვეყნის პოლიტიკა და გამოაცხადა, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია, ეს იყოს ასევე მიზეზი კანდიდატი ქვეყნის როლში ყოფნისა. ასევე ეუთოს შეფასებაც საამაყოა, 2020 წელს გამოსცა განახლებული, ეროვნული რეფერალური მექანიზმები,რომელიც ითვალისწინებდა თუ როგორ უნდა შეძლოს სახელმწიფომ მსხვერპლის გამოვლენა და შემდგომ მისი დაცვა, საქართლოს ეს მექანიზმი აქვს ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად. მუდმივად ხდება ტრენინგები , ორგანოს წარმომადგელნების გადატრენინგებაც ,

სწორედ ამიტომ ინარჩუნებს ჩემი აზრით საქართველო ტრეფიკინგთან ეფექტურ გამკლავებას.” (წყარო:ექსპერტული ინტერვიუ, ანა ივანიშვილი)

საქართველოს ჩართულობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ კერძოდ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად პრიორიტეტული მიმართუებაა. საქართველო ახორციელებს აქტიურ ღონისძიებებს რაც ორიენტირებულია ტრეფიკინგის შემთხვევების მინიმალიზაციისთვის. გავიხსენოთ უნდა 2006 წლის 1 სექტემბერი, როდესაც პრეზიტენტის ბრძანებით შეიქმნა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული საკოორდინაციო საბჭო. საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ის გამოცემს ყოველწლიულ ანგარიშებს, იმუშავებს რეკომენდაციებს , სახავს სამოქმედო გეგმას და სხვა. 2013 წლის 15 მარტს ასევე დამტკიცდა ორწლიანი სამოქმედო გეგმა ტრეფიკიგის წინააღმდეგ , რომელიც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განხორციელდა. სამოქმედო გეგმა, 2013-2014 წლებს მოიცავდა და მიმართული იყო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისკენ. (ალექსიძე, 2014)

წელი	შემთხვევები
2016	20
2017	21
2018	21
2019	21
2020	15
2021	19
2022	16

მინდა წარმოვადგინო ცხრილი , საქართველოში ტრეფიკინგის გავრცელებასთან დაკავშირებით , რომელიც 2016 წლიდან 2022 წლამდეა მოცემული, სადაც აღნიშნულია მსხველპთა რაოდენობა, 2016-2019 წლამდე ფიქსიდრება შემთხვევათა ჭარბი რაოდენობა, თუმცა 2020 წლიდან შემთხვევები კლებულობს, სავარაუდოა რომ რიცხობრივი კლება შემთხვევებისა გამოწვეულია სწორი პოლიტიკური პოლიტიკის გატარარების.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, 2022 წელი; მოძიების თარიღი 25.12.23

https://justice.gov.ge/?m=articles&id=J8ScpS4H8u&fbclid=IwAR32N3m9_Po-vSv3Uwum9T64J9GhN7phftwxsMJbIAYmy7hU06thbEJzUfM

4.2 ტრეფიკინგის გამოწვევები

ვთანხმდებიბით, რომ ტრეფიკინგი არის გლობალური პრობლმა, რის შედეგადაც ხდება იძულებითი სახით ძალადობა.18სექტემბერი ევროპაში ტრეფკინგთან ბრძლოს დღეა. აქვე მინდა ოთხი პრონციპი ვახსენო ტრეფიკინგის, ესენია : პრევენცია, გამოძიება სისსხლის სამართლის კუთხით , მსხვერპლთა დაცვა და თანამშრომლობა.

საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს პრობლემას, სამყაროს განვითარებამ , როგორიცა ინტერნეტ სივრცის ვირუსულად გავრცელებამ , უფრო დაგვანახა ყოველდღიურობაში აღნიშნული პრობლემა.უნდა ვახსენოთ, ასევე COVID_19, რომელმაც ბიძგი მისცა განვითარებულიყო ახალი ტრეფიკინგის მიმართულება ეს არის ონლაინ ტრეფიკინგი, სადაც გოგოები და ბავშვები ხდებოდნენ პორნოგრაფიის მსხვერპლი. ეს პრობლემა უკავშირდება ასევე ტექნოლოგიების განვითარებასაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრობლემა გლობალურია და მისი კონტროლი რთულია, ვინაიდან ეს არის ონლაინ სივრცე ვირტუალური სამყარო და არა რეალური.

ყოველწლიულად შემთხვევები მზარდია. სახელმწიფო ვალდებული ერთი ნაბიჯით წინ გაუსწროს პრობლემს და შეძლოს მისი აღმოფხვრა. 2003 წლიდან არის ეს დანაშაული კრიმინიზებული მსოფლიოში და საქართველო 2006წლიდან იწყებს ტრეფიკინგის აღმოფხვრას,მის წინააღმდეგ პოლიტიკის გატარებას. 2006 წელს საქართველო შეუერთდა ორ მნიშვნეოვან კონვენციას, ერთი გაეროსგან მიღებული ტრანსსაციონალური დანაშაულის ბრძლოს შესახებ , მისი დამატებითი ოქმის არის პანელმოს პროტოკოლი რომელიც უშუაოდ ეხება ტრეფიკინგის საკითხებს , მეორე ევროპის საბჭოს კონვენცია

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის , ამ ორის განმასხვავებელი ნიშანი არის გაეროს კონვენცია უფრო სამართალდამცავ მიმართულებით აკეთებს აქცენტს რომ უნდა მოხდეს გამოძიება დევნა და დასჯა. ევროპის საბჭოს კონვენცა კი მთლიანად მსხვეპლის უფლებეზეა ორიენტირებული. ამ ორმა კონვენციამ ბიძგი მისცა საქართველოს რომ უფრეო დაეხვეწა ტრეფიკინგთან ბრძოლა და გამხდარიყო ეფექტიანი.

არსებობს კომისია რომელიც ვალდებული მოახდინოს სწრაფი რეაგირება, ჩართულნი არიან არასამთავროები, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ერთობლივად ატარებენ საჭირო რეფორმებს . საქართველოს აქვს ეფექტიანი და მკაცრი რეაგირება, მაგალითად მინიმუმ 7წლიანი პატიმრობით აღკვეთა. გარდა საკანონმდენბლო მხარისა, უწყებები ცდილობენ მოსახლეობას უფრო უკეთ გააცნოთ პრობლემა, მოახდინონ მსხვერპლებთან სწორი და კარგი კომუნიკაცია.საზოგადოებას აკლია ცნობიერება, არ იციან ტენრმინის შესახებ და ვერ იაზრებს მსხვეპლი რომ ტრეფიკინგის ქვეშ არის . სამწუხაროა, საქართველოში არ აქვს მოსახლეობას ცნობადობა და არ იციან ტერმინის შესახებ. სახელმწიფო ატარებს ტრენინგებს რის შედეგადაც ცდილობენ მოსახლეობას აუმაღლონ შეგნება. სახელმწიფოს მობილური ჯგუფი დადის რისკადგილებში გაუფრთხილებლად და ამოწმებენ ობიექტს ხომ არ არის ტრეფიკინგის შემთხვევა. ტრეფიკიორებად ასეევე შეიძლება ნათესავები, ახლობლები აღმოჩნდენენ ვისთანაც გვაქს ნდობა. სავალო კაბალა- პირზე დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა, მააგლიტად ტრეფიკიორები უხდიან ფულს ბინის , პასპორტის, გზის და ავალდებულებენ შემდგენ რომ წავიდნენ სამუშაოდ და ვალი გადაუხადონ.

ჩვენს ქვეყანაში ტრეფიკინგის მსხვერპლნი თანამშრომლობენ სამართალდამცავებთან. ჯანდაცვის სამინისტრო დაზარალებულთათვის გამოყოფს მულტიგუნდს, სადაც გაერთიანებულია ფსიქოლოგები, მოსამართლეები და ასევე ექიმები. საქართველოში გვაქვს ორი თავშესაფარი ერთი თბილისშში , ხოლო მეორე ბათუმში, ადგილმდებარეობა კი კონფიდენციალურია, მსხვეპლის დასაცავად. ეს დაწესებულებები უშუალოდ არა მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლებს , არამედ სავარაუდო მსხვერპლსაც უწევენ პირველად დახმარებას. ეს ყოველივე კი მათი რეინტეგრაციისთვის არის საჭირო, ინდივიდმა შეძლოს ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში გაგრძელება და სამომავლოდ დასაქმება. არსებობს, ასევე ცხელი ხაზი -16006 რომელსაც საქართველოს სახელმწიფო ზრუნვის

დეპარტამენტი ახორციელებს, 8ენაზე შეუძლია მსხვერპლს ზარის განხორციელება, რომელიც 24საათიან რეჟიმში აქტიურია. თუ ტრეფიკინგი ხდება საზღვრებს გარეთ შეუძლიათ დაუკავშირდნენ იმ ქვეყნის საელჩოებს, რის შედეგადაც სწრაფი რეაგირება და ინფორმაციის გაცვლა მოხდება.

4.3 ტრეფიკინგის სამიზნე ჯგუფი: ქალები

ტრეფიგინგის მსხვერპლი უმეტესად არის ქალები, რომლებიც განიცდიან სექსუალურ ექპლუატაციას, პროსტიტუციას. ახლა ქალები შეადგენენ გლობალური მიგრანტი მუშაკების ნახევარზე მეტს, რასაც გლობალური შრომის ბაზრის ფემინიზაცია ჰქვია. არსებობს გენდერული სპეციფიკური დაუცველობა და რისკები, რომლებსაც ქალები აწყდებიან მიგრაციის ტრაექტორიის განმავლობაში, რაც მათ უფრო მგრძნობიარეს ხდის ტრეფიკინგის მიმართ.იძულებითი შრომის მსხვერპლნი არიან მამაკაცები და ბავშვები, მაგალითად იძულებით მათხოვრობა ბავშვებში. წლიდან წლამდე ტრეფიკინგის 10მდე მსხვეპლია, ხშირია ჩვენს ქვეყანაში ცენტრალური აზიიდან იძულებითი შრომით ჩამოსული ადამინები. მიუხედავად იმისა , რომ ერთი შეხედვით არ არის მაღალი ციფრი, უნდა გავიაზროთ , რომ ჩვენი მოსახლეობა მცირე რიცხვს შეადგენს. ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან სადაც ხშირია ქართველების ტრეფიკინფი არის- თურქეთი , ეს ალბათ გასაკვირიც არ არის , ვინაიდან ყველაზე ხშირად ქართველები სამუშაოდ სწორედ იქ მიდიან. ბოლოს მათ აღარ უხდიან თანხას რაც გამოიმუშავეს და ხდებიან მსხვერპლი. როდესაც მიდიხარ საზღვარგარეთ აუცილებელია გავეცნოთ კონტრაქტს, ვინაიდან ავირიდოთ თავი რისკებიდან , თუ სასტუროში გთავაზობენ სამსახურს გადაამოწმეთ,ზოგჯერ კონტრაკს გაუგებარ ენაზე უდებენ რომ ვერ გაარკვიონ.

„ერთ-ერთი მაგალითი ქალთა ტრეფიკინგისა დაფიქსირდა საქართველოში, სადაც გარკვეული ჯგუფი, რომლებიც ამოწმებენ დაწესებულებებს შეამჩნიეს ორი გოგონა, ისინი ბარში მუშაობდნენ, თუმცა როგორც გაირკვა ისინი იყვნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი და ამას ვერ იაზრებნენ. როგორც აღმოჩნდა ისინი თავიანთ ქვეყანაში იგივე პროფესიით იყვნენ დაკავებულები (სხვეულით მოვაჭრეები იყვნენ) და ეგონათ, რომ

საქართველოშიც იგივე საქმეს აგრძელებდნენ, თუმცა მათ უფროს ისინი ტრეფიკინგის ქვეშ ყავდა, ვინაიდან ემსახურებოდათ მანქანა, რომელსაც გოგონები მიყავდა კლიენტიდან-ბარში და გამომუშავებულ თანხას ბარის მეპატრონე იღებდა, ის არწმუნებდა გოგოებს, რომ მისი ვალი ჰქონდა, რადგან ბარში ცხოვრობნენ, ჭამდნენ და ამისთვის უნდა გადაეხადათ.“ (წყარო: ექსპერტული ინტერვიუ, ანა ივანიშვილი) ეს არის ტიპიური ტრეფიკინგის შემთხევა, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტიც, თუ რამდენად გაუცნობერებელია საზოგადოება ამ თემის მიმართ და ვერ იაზრებენ ტრეფიკინგის ქვეშ ყოფნას.

ასევე ქალთა ტრეფიკინგზე მინდა მოვიყვანო ერთი ფაქტი, რომელსაც 41 წლის ქალბატონი გადმოსცემს. როგორც აღნიშნავს, მას შესთავაზეს სამსახური დიპლომატების ოჯახში საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით, თუმცა იქ მისულს სხვა რეალობა დახვდა და როგორც ქალბატონი გადმოსცემს, მას მოკვლას უპირებდნენ. სავარაუდოდ შემდგომ ორგანოების გაყიდვას აპირებნენ ტრეფიკინგერები. (ტრეფიკინგის მსხვერპლი ქართველები საზღვარგარეთ და დაცვის მექანიზმები - რა უნდა იცოდეთ ემიგრაციაში წასვლამდე, 2021)

4.4 საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი

შვედეთი იყო პირველი ქვეყანა, რომლემაც მიიღო რადიკალური კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ. დღესდღეისობით შვედეთის მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტებს. მათი ძალისხმევა მოიცავდა ტრეფიკინგის მეტი პოტენციური მსხვერპლის იდენტიფიცირებას, მეტი თანხის გამოყოფას ქალთა დახმარებისთვის, როგორც ძალადობის შემთხვევებისა ასევე ტრეფიკინგის. შვედეთის პოლიტიკა შეიცავდა, ეროვნული რეფერალური მექანიზმის (NRM) დიგიტალიზაციის დაფინანსებას, ხელისუფლებისა და ფრონტის ხაზის პროფესიონალებისთვის რეკომენდაციის შემუშავებასა და იდენტიფიკაციის საგამოძიებო პროცესების გაუმჯობესებას. ბოლო წლებში რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ მსოფლიოში ბევრი უკარაინელი ლტოლვივი ჩასახლდა, გამონაკლისი არც

შვედეთი იყო. უკრაინელი ლტოლვილების შემოდინების საპასუხოდ, რომლებიც გაქცეულან რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შემოჭრის შედეგად, მთავრობამ დაადგინა პროტოკოლები საზოგადოებრივ ტრანსპორტში ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლის შესამოწმებლად; შეიმუშავა კანონი სასაზღვრო პოლიციისთვის, რომელშიც შედის ინფორმაცია დროებითი ცხოვრების, მსხვერპლთა დახმარების, ტრეფიკინგის ინდიკატორების ამოცნობისა და პოტენციური მსხვერპლების იდენტიფიცირების შესახებ და უზრუნველყო ფინანსური მხარდაჭერა უკრაინიდან გაქცეულთა შორის ტრეფიკინგის რისკების შესამცირებლად. გარდა ამისა, მთავრობამ დაიწყო ახალი ინტერნეტ ტრენინგი თემებზე : სექსუალური ექსპლუატაცია და იძულებით შრომა. როგორც ვიცით ტრეფიკინგის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი მიგრაციია, შვედეთს ამ პრობლემაზეც აქვს რეაგირება , მიგრაციის სააგენტომ მიგრაციის აგენტებს მიაწოდა მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოეჩინათ ტრეფიკინგის პოტენციური შემთხვევები. მთავრობა ასევე თანამშრომლობდა რეგიონულ პარტნიორებთან კვლევის ჩასატარებლად, რომელიც მიზნად ისახავდა დასაქმების სააგენტოების მიერ გამოყენებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების იდენტიფიცირებას ექსპლუატაციის პირობებში სამუშაოდ პირების დაქირავების მიზნით. ასევე, შვედეთის სანაპირო დაცვა, პოლიცია და საბაჟო მოხელეები მონაწილეობდნენ ერთობლივ რეგიონულ სადაზვერვო ოპერაციებში ტრეფიკინგის საქმეებში, რომლებიც საზღვაო მგზავრობას ეხებოდა. (Johansson, 2014)

შეერთებული შტატების მთავრობამ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლა პოლიტიკის პრიორიტეტად აქცია და იყენებს მთელი მთავრობის მიდგომას ადამიანებით მოვაჭრეების პასუხისმგებლობის დასადგენად, მსხვერპლთა დასაცავად და ამ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ყოვლისმომცველ, მულტიდისციპლინურ ძალისხმევას. მთავრობაში ეს ნიშნავს მონაწილეობას და კოორდინაციას სხვადასხვა პასუხისმგებლობების მქონე უწყებებს შორის, მათ შორის სისხლის სამართლის აღსრულება, მსხვერპლთა გაცნობა და მომსახურება, საზოგადოების ინფორმირებულობა, განათლება, სავაჭრო პოლიტიკა და ხელშეწყობა. აუცილებელია ასევე კოორდინირებული ფედერალური ძალისხმევა,

რომელიც მოიცავს სახელმწიფო, ადგილობრივ და ტომობრივ ერთეულებს. ეროვნული სამოქმედო გეგმა ასახავს სამწლიან ყოვლისმომცველ მიდგომას ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის ტრეფიკიორთა დევნის გასაძლიერებლად, მსხვერპლთა დაცვის გაძლიერების მიზნით და დანაშაულის პრევენციას აშშ-ს საზღვრებში და მის ფარგლებს გარეთ.

ვინაიდან აშშ მსხვილი ქვეყანაა აქ კრიმინალური დონეც მაღალია ტრეფიკინგთან ერთად, ამიტომ შექმნილია მრავალი ორგანიზაციები , რომლებიც ატარებენ

ყოველწლიურ მონიტორინგს და სახავენ გეგემებს პრბლემის ირგვლივ. ერთ-ერთი ორგანიზაციაა USAID აშშ-ს რამდენიმე სამთავრობო დეპარტამენტიდან და სააგენტოდან ერთ-ერთი, რომელსაც ევალება C-TIP აქტივობების განხორციელება. სააგენტო მონაწილეობს პრეზიდენტის უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფში ტრეფიკინგის მონიტორინგისა და ბრძოლისთვის, კაბინეტის ერთეული, რომელიც შეიქმნა 2000 წლის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტით (TVPA), რათა კოორდინირება გაუწიოს ფედერალურ ძალისხმევას ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

USAID ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას და გადარჩენილთა დაცვას, გაძლიერებას უმაღლეს პრიორიტეტად მიიჩნევს, რაც აუცილებელია სააგენტოს უფრო ფართო მისიისთვის. ადამიანებით ვაჭრობა ფუნდამენტური დაბრკოლებაა ჰუმანიტარული განვითარებისთვის. ის აფერხებს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ეკონომიკურ ზრდას, კანონის უზენაესობას, ქალთა გაძლიერებას და ახალგაზრდების სიცოცხლის პერსპექტივას. ადამიანებით ვაჭრობა არის ტრანსნაციონალური დანაშაული, რომელსაც აქვს ეროვნული გავლენა. საერთაშორისო ტრეფიკინგის აღსაკვეთად და მისი დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემის მიზნით, იღებს მთავრობა მიდგომას, ტრეფიკინგის დანაშაულების დევნის პრიორიტეტს და მსხვერპლთა დაცვას. შეერთებული შტატები მუშაობს ორმხრივად ტრეფიკინგის ინდუსტრიის გასაუქმებლად, ამ პრობლემის ირგვლივ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით. (Countering Trafficking in Persons (C-TIP), 2021)

დასკვნა

ტრეფიკინგი მნიშვნელოვან საკითხად გაგდა დღის წესრიგში. საქართველოს პოლიტიკა პრობლემის წინააღმდეგ მოქმედების ეფექტურია რაც ნათლად ჩანდა ჩემს მიერ გაანალიზებულ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ქართულ ტენდეციებში. მიდგომა რაც უნდა შეცვალოს ხელისუფლებამ არის მიგრაცია. მიგრაციის შედეგად ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლიც. ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითებამ მოსახლეობას აიძულა ქვეყნის დატოვება, მათ იმდენად უნდათ საზღვარგარეთ წასვა და მუშაობის დააწყება, რომ რისკებზე არც ფიქრობენ, არ აანალიზებენ და ბრმად ენდობიან უცხო პირებს. ჩემი აზრით, თუ გვინდა ტრეფიკინგმა დაიწიოს აუცილებელია მიგრაციაც შემცირდეს და ეს ყოველივე დამოკიდებულია ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკაზე. ასევე, ვფიქრობ უნდა არსებობდეს მკაცრი შეზღუდვები მიგრაციასთან დაკავშირებით, ასევე ჩვენი ქვეყნის მიერ მათი გადამოწმება თუ როგორ პირობებში მუშაობენ, თავს როგორ გრძნობენ და ა.შ. უნდა იყოს გამოყოფილი ორგანიზაცია, რომელიც პირდპაირ კავშირში იქნება ემიგრანტთან და მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლები იქნებიან.

რაც, შეეხება აშშსა და შვედეთის მაგალითებს , შვედეთი არის პირველი ქვეყანა , რომელმაც მიიღო ტრეფიკინგის წინააღმდეგ კანონი, აშშ კი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა, ამიტომ მივიჩნიე შედარებისთვის ამ ორი ქვეყნის საქართველოს ტრეფიკინგის პოლიტიკასთან შედარება მეტად საინტერესო იქნებოდა. ჩანს, რომ საქართველო დიდად არ განსხვავდება განვითარებული ქვეყნების პრობლემასთან ბრძოლის ეფექტიანობით, პირიქით , როგორც უკვე ავღნიშნე პირველი კალათის წევრიცაა. ტრენინგები, მოსახლეობასთან პირდაპირი კავშირი, მათი ინფორმირებულობა დასაბამია პრობლემის აღმოფხვისა. თუმცა, აუცილებელია თვითონ მოსახლეობის თვითშეგნებაც ამაღლდეს, ცნობადობაც გაღრმავდეს, რომ პრობლემას სწორად შეხედონ და შეაფასონ, ვინაიდან , როგორც უკვე ავღნიშნე არა მარტო მე, არამედ ამ დარგის ექსპერტმაც ინტერვიუს დროს, მოსახლეობას არააქვს საკრამისი ინფორმაცია ტრეფიკინგზე. ვისურვებდი, რომ ტელესივრცემ, სკოლებმა და სხვადასხვა დაწესებულებებმა გააცნოს ბავშვებს, ქალებს, მოზარდებს , ტრეფიკინგის , როგორც დიდი პრობლემის ტენდეცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Countering Trafficking in Persons (C-TIP). (2021 წლის 13 december). მოპოვებული https://www.usaid.gov/policy/c-tip-დან

Elizabeth M. Wheaton*, E. J. (2009). *Economics of Human Trafficking.* მოპოვებული https://www.amherst.edu/media/view/247221/original/Economics+of+Human+Trafficking.pdf-დან

Forbes Georgia. (2021). მოპოვებული https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-humanuri-ganvitharebis-reitingshi-61-e-adgilzea/-დან

James, P. (2021 წლის 26 march). *The Tragedy of Human Trafficking : Competing Theories and European Evidence.*

Johansson, I. (2014). *Swedish anti-trafficking policy.* მოპოვებული https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1482838/FULLTEXT01.pdf-დან

Mariam Chumburidze, N. G. (2015 წლის June). *The State of Migration in Georgia.* მოპოვებული https://migration.commission.ge/files/enigmma-state-of-migration_e_version.pdf-დან

Trafficking in Persons. (თ. გ.). მოპოვებული https://www.unodc.org/unodc/data-and-analysis/glotip.html?fbclid=IwAR2ffa8qX12yWre-yOhtlOl8Z55rvXpoU62DhvfZzf2tOwgw_y4CID0614c-დან

Trafficking in Persons Report. (თ. გ.). მოპოვებული https://www.state.gov/trafficking-in-persons-report/?fbclid=IwAR2DG6YmlYkwDi3jjdTN2WThMhqgRzHG4_Gw9FETSWaoFFMF7C9Xh400Pd4-დან

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. (თ. გ.). მოპოვებული https://justice.gov.ge/?m=articles&id=J8ScpS4H8u&fbclid=IwAR3xFuTyhGgT0y0EhiwIa-7YOl2FoUEsvul-YG15bziZaBXy1n8R05Vk30w-დან

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. (2021). მოპოვებული https://justice.gov.ge/?m=articles&id=J8ScpS4H8u&fbclid=IwAR049p7iSAfKGd0tVx654uiSzL5kc3GogOzLX51zs_Oik0iRUcsysltdgC8-დან

ალექსიძე, ლ. (2014). *საერთაშორისო სამართვის ჟურნალი.* მოპოვებული https://old.tsu.ge/data/file_db/Faculty_law_ILI/Journal%202014-N1-2015.pdf-დან

ბაღაძუა, მ. (2011). *ადამიანთა ვაჭრობა-ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე).* მოპოვებული elfiles.emis.ge: https://elfiles.emis.ge/uploads/40606/conversions/Trefikingi-compressed.pdf?fbclid=IwAR2_WhQ5d3eBVzSjiOWSzo11nXOsOcC8rM8IEtPMOHRBb4yMzkOUaY1ZXbo-დან

ელენე რუსეცკი, ა. დ. (2019). ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი). თბილისი.

იმედი. (2018). საქართველოში ტრეფიკინგის შემთხვევები გაიზარდა. *imedinews*, imedinews.ge.

კარაპეტიანი, გ. (2021). *ემიგრანტი ქალების შრომა და ზრუნვის გლობალური ჯაჭვი.* მოპოვებული ქალთა უფლებები: https://socialjustice.org.ge/ka/products/emigranti-kalebis-shroma-da-zrunvis-globaluri-jachvi-დან

პარლამენტი, ს. (2006). ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. *https://matsne.gov.ge/.* თბილისი.

ტრეფიკინგის მსხვერპლი ქართველები საზღვარგარეთ და დაცვის მექანიზმები - რა უნდა იცოდეთ ემიგრაციაში წასვლამდე. (2021 წლის 15 ნოემბერი). მოპოვებული https://fortuna.ge/fortuna/post/trefikingis-mskhverpli-qartvelebi-sazghvargaret-da-dacvis-meqanizmebi-ra-unda-icodet-emigraciashi-wasvlamde-დან

დანართი 1 ნახევრად-სტრუქტურული ინტერვიუ ტრეფიკინგის დარგის ექსპერტთან

1) რაში მდგომარეობს საქართველოს ანტი-ტრეფიკინგულ პოლიტიკა და როგორ შეაფასებდით მას?

2) რომელი წლიდან ჩაერთო საქართველო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში და რა იყო ამის გამომწვევი მიზეზი?

3) სტატისტიკურად როგორ შეიცვალა ტრეფიკინგის შემთხვევები წინა წლებთან შედარებით ?

4) უმეტესად ვინ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი საქართველოში? ასევე რომელ კატეგორიაშია : იძულებით შრომაში თუ სექსუალურ ექსპლუატაციაში ?

5) როგორც ვიცით ხშირია ემიგრანტთა მოტყუებით ექსპლუატაციაში ჩაბმვა, არის თუ არა ამ კუთხით რეაგირება ?

6) და ბოლოს, რომელ ქვეყანაშია ყველაზე მეტად ჩვენი მოქალაქეების მოტყუებით ექსპლუატაცია?

დანართი 2 ნახევრად-სტრუქტურული ინტერვიუ მიგრაციის დარგის ექსპერტთან

1) ახდენს თუ არა ეკონომიკური მდგომარეობა გავლენას მიგრაციის გავრცელებაზე?

2) თქვენი აზრით რა პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს საქართველომ, რომ სამუშაოდ მიგრაციაში წასვლა მოქალაქეებს აღარ მოუწიოთ?

3) რატომ არის ქალების მიგრაცია უფრო მეტი ვიდრე კაცების და თუ გაქვთ ინფორმაცია ეს ტენდეცია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია თუ მსოფლიოშიც?

4) რა საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგეს მიგრანტი?